



2018 წლის 16 აპრილს სასამართლოდან გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 5 ოქტომბერს -- -- და -- -- განცხადებით მიმართეს სასამართლოს და 2018 წლის 15 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ითხოვეს.

2018 წლის 23 ოქტომბერს -- -- წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება ითხოვეს.

2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა მიჩნეული.

2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- და -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა მიჩნეული.

2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით -- -- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით --- -- და --- -- განცხადება --- -- სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 18 დეკემბერს -- -- და -- -- კერძო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში და 2018 წლის 11 ნოემბრის განჩინების გაუქმება ითხოვეს.

2019 წლის 4 იანვარს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინების გაუქმება ითხოვა.

2.2. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 14 იანვრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი, -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად.

2019 წლის 14 იანვრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2019 წლის 23 იანვრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2019 წლის 13 მარტის განჩინებით -- -- და -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

2.3. 2019 წლის 13 მაისის განჩინებით -- -- და -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაიწყო საქმის ხელახალი განხილვა.

2019 წლის 13 მაისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა განცხადების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. 2019 წლის 13 მაისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა განცხადების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2019 წლის 5 ივნისს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 13 მაისის განჩინებაზე, მისი გაუქმება და 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება ითხოვა.

### 3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდნენ მოსამართლეები არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამდენად, კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა იქნეს საპროცესო ნორმები სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ეს განჩინება შეიძლება მიღებულ იქნას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია

მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინება -- -- ჩაიბარა 2018 წლის 21 დეკემბერს, ხოლო კერძო საჩივარი ფოსტას ჩაბარდა 2019 წლის 3 იანვარს (აღნიშნული დასტურდება როგორც საქმის მასალებით, ისე სატელეფონო აქტით -- საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპრეს გზავნილების კომპანიის ოპერატორთან), საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით. კერძოდ, 2018 წლის 22 დეკემბრიდან დაიწყო განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადის ათვლა და ამოიწურა 2019 წლის 2 იანვარს, რამდენადაც 2 იანვარი არის უქმე დღე ვადის დამთავრების დღე მოცემულ შემთხვევაში იქნება 3 იანვარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ როცა დავა ეხება საზიარო საგანს, საქმეში ჩაბმული უნდა იყოს საზიარო უფლების ყველა მესაკუთრე, რადგან საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება თითოეული თანამესაკუთრის უფლებებს. სხვა თანამესაკუთრეებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი არ ყოფილა საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები, რაც კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, მოსამართლემ განჩინებები მიიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, ხოლო განჩინების შეფასება და კანონიერებაზე მსჯელობა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლეების მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### 4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას წყვეტს სასამართლო, ხოლო მხარე თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**